თბილისის არქიტექტურა
თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

# განცხადება კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია "სახელმწოფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების საფუძველზე

**სარჩევი**:

- საკონკურსო განცხადება;
- სამსახურის უფროსის ბრძანება (დანართი #1);
- ქვედა და ზედა სადგურის ნახაზები;
- საპროექტო ტერიტორიების ტოპოგრაფიული გეგმა;
- საბაგირო გზის პროფილი;
- ქვედა და ზედა სადგურის ტექნოლოგიური ნაწილის პროექტები;
- საპროექტო ტერიტორიების საკადასტრო გეგმები;
- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები.

# საკონკურსო განცხადება

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური აცხადებს კონკურსს (შემდგომში – შემსყიდველი ორგანიზაცია) საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
- კონკურსის მიზანია ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე (ნაკვ. #002/015) და მთაწმინდის პარკში (ნაკვ. #001/002) საბაგირო სადგურების ესკიზური პროექტების სახელმწიფო შესყიდვა.
- საპროექტო ტერიტორიას წარმოადგენს საბაგირო გზის ქვედა სადგურისათვის – ვარდების რევოლუციის მოედანი, სასტუმრო „RADISSON BLU"–ს მიმდებარე ტერიტორია, ამჟამად დაწყებული მშენებლობის ადგილზე, ხოლო საბაგირო გზის ზედა სადგურისათვის – მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე საბაგირო გზის ძველი სადგურის ადგილი.
- კონკურსში მონაწილე პირს საჭირო ინფორმაციის მიღება შეუძლია შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე www.procurement.gov.ge და ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე – www.tas.ge განთავსებული საკონკურსო მასალებიდან.
- გამარჯვებული საკონკურსო პროექტის შესყიდვის ღირებულება შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) ლარს, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
- საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge.
- საკონკურსო წინადადებების მიღება იწყება საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან და გრძელდება ერთი თვე.
- კონკურსში მონაწილე პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე www.tas.ge.
- საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება საკონკურსო კომისიის მიერ, ღია კონკურსის ფორმით, საკონკურსო წინადადებების მიღების დასრულებიდან შვიდი სამუშაო დღის ვადაში;
- გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმება მოხდება საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

**სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი** **ნინო ღოღობერიძე**

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 306

" 09 " 10 2014

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე (ნაკვ. №002/015) და მთაწმინდის პარკში (ნაკვ. №001/002) საბაგირო სადგურების ესკიზური პროექტების კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებისა და „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ", „ვ", „ლ" და „ფ" ქვეპუნქტების თანახმად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გამოცხადდეს კონკურსი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე (ნაკვ. №002/015) და მთაწმინდის პარკში (ნაკვ. №001/002) საბაგირო სადგურების ესკიზური პროექტების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე (ნაკვ. №002/015) და მთაწმინდის პარკში (ნაკვ. №001/002) საბაგირო სადგურების ესკიზური პროექტების შესარჩევად დამტკიცდეს კონკურსის წესი და პირობები №1 დანართის შესაბამისად.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნინო ღოღობერიძე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) მაკა შავიშვილი – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი (კომისიის წევრი);

გ) გიორგი სოსანიძე – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი (კომისიის წევრი);

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ. [+995 32] 72 22 22 ფაქს. [+995 32] 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

დ) ნიკოლოზ აბაშიძე – საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წარმომადგენელი (კომისიის წევრი);
ე) დემურ სვანიძე – საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წარმომადგენელი (კომისიის წევრი).

4. საკონკურსო კომისიამ თავისი უფლებამოსილება განახორციელოს ამავე ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის შესაბამისად;

5. საკონკურსო კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა განახორციელოს კომისიის აპარატმა შემდეგი შემადგენლობით:
ა) არმაზ ხუციბერიძე – კომისიის მდივანი;
ბ) თამთა ლომიძე;
გ) ირმა ალიმბარაშვილი;
დ) გიორგი ქიტესაშვილი;
ე) ანა ებილაშვილი.

6. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, შ. შარტავას ქ. №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

**სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი** **ნინო დოლობერიძე**